



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალავერდიანი ლეონ ალექსანდრეს ძე

ალავერდიანი ლეონ ალექსანდრეს ძე [19 (31). III. 1887, თბილისი, - 11. I. 1963, იქვე],
სომეხი მსახიობი. საქართვე. სახ. არტისტი (1951).

სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1904-იდან თბილისში ავლაბრის თეატრსა და ავჭალის
აუდიტორიაში. 1909-იდან მოღვაწეობდა თბილ. სომხ. დრამ. საზ-ბის დასში. 1924-32
ბაქოს სახელმწ. თეატრის, ხოლო 1932-63 თბილ. სომხ. დრამ. თეატრის მსახიობი იყო.
გამოირჩეოდა უშუალოებით, სინრფელით, პროფ. ოსტატობით. უპირატესად ასრულებდა
სახასიათო როლებს: ბარხუდარი (ა. შირვანზადეს „ნამუსი“), ზიმზიმოვი, ბრილიანტოვი (გ.
სუნდუკიანის „პეპო“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“), დუდუკინი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო
დამნაშავენი“), მირზა (ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“), ონისე (მ. მრევლიშვილის
„ზვავი“), სულეიმანი, ანანია (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“) და სხვ.

შ. ცუცქერიძე
